თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №25

ქ. თბილისი 2018 წელი, 10 აგვისტო, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, თევდორე ისაკაძე, ბექა დავითულიანი, გიორგი გაბაშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (საპატიო), დავით უთმელიძე, დავით უჯმაჯურიძე, გოჩა თევდორაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გიორგი ბაგრატიონი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი
რუსუდან მირზიკაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი
მარიამ თავაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0318218103-03)

    - ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი N49, "თელეების მიწა" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.772, ფართობი 1028 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის, სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება.

    - ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, N 27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ)

ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

- ქალაქ თბილისში, ქუჩა ბუაჩიძე, N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.025, ფართობი: 11,13 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (12-03182196-03)

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03182196-03)

4. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N80-ში, ს/ს „სასტუმრო ვაკის“ შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვაკის ტურისტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 11 სექტემბრის N2658 განკარგულებით კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-03182073-03; 12-03182115-03 (დაზუსტება))

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-105** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0318218103-03)

- ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი **N49**, "თელეების მიწა" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **N72.16.23.772**, ფართობი **1028** კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა **1**-ის, სატრანსპორტო ზონა **1**-ით ცვლილება.

- ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, **N 27**-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: **N01.13.07.006.005**, ფართობი: **5652** კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა **1**-ის (ტზ-**1**) სამრეწველო ზონა **1**-ით (ს-**1**) ცვლილება.

- ქალაქ თბილისში, ქუჩა ბუაჩიძე, **N19**-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: **01.12.07.004.025**, ფართობი: **11,13** კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა **1**-ის (ტზ-**1**) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ ა/წლის 6 აგვისტოს #12-0318218103-03 წერილით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ქალბატონმა რუსუდან მირზიკაშვილმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 3 წინადადება, კერძოდ:

1) ქალაქ თბილისი, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი N49, "თელეების მიწა" მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.772, ფართობი 1028 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის, სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:72.16.23.768, 72.16.23.767, 72.16.23.771, 72.16.23.772, 72.16.23.770, 72.16.23.769, 72.16.23.632) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N211 განკარგულებით დამტკიცებულია

განაშენიანების რეგულირების პროექტი, რომელიც ადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ***აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მასალაში დასაზუსტებელია სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების საკადასტრო ერთეული. აღნიშნულის გათვალისწინებით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.***

2) ქალაქ თბილისში, ქუჩა თევდორე მღვდელი, N 27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.07.006.005, ფართობი: 5652 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება. ***აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მასალაში დაზუსტებას საჭიროებს საკადასტრო კოდი: N01.13.07.006.005. აღნიშნულის გათვალისწინებით მითითებული ტერიტორიის ფუნქციური ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.***

3) ქალაქ თბილისში, ქუჩა ბუაჩიძე, N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.025, ფართობი: 11,13 კვ.მ) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს. რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ ნაგებობაზე. ***შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ქუჩა ბუაჩიძე, N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.07.004.025, ფართობი: 11,13 კვ.მ) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.***

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 3 წინადადება ზ/აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშრებით (12-03182196-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებით. კერძოდ, კოდექსს დაემატა 150^2 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება), 150^3 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა, 153^9 მუხლი (ქალაქ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე), 158^3 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის დაკვეთისათვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა), 158^4 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)). კოდექსის 153^6 მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ, დაემატა მე-4 და მე-5 ნაწილები. 153^6 მუხლის მე-4 ნაწილით სანქცირებას ექვემდებარება ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენა სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით. წარმოდგენილი პროექტით ხდება კოდექსის მითითებული ნორმის (153^6-ის მე-4 ნაწილი) სამსახურზე დელეგირება. ზ/აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგება საჯარიმო ქვითრები - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც არ ექვემდებარება კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საფუძველზე, საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელი სამართალდამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03182196-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. მისი თქმით, ,,თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებით. კერძოდ, კოდექსს დაემატა 150^2 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება), 150^3 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის თვითნებური შეცვლა, 153^9 მუხლი (ქალაქ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა და გარე რეკლამის განთავსება შესაბამისი ნებართვის გარეშე), 158^3 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის დაკვეთისათვის, წარმოებისა და გავრცელებისათვის დადგენილი წესების დარღვევა და აბრის დაკვეთისა და განთავსებისათვის დადგენილი წესების დარღვევა), 158^4 მუხლი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასათანადო რეკლამის განთავსება (გავრცელება)). საყურადღებოა, რომ მითითებული მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე შედგება საჯარიმო ქვითრები, რომლებიცარ ექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საფუძველზე რაიონულ-საქალაქო სასამართლოში გადაგზავნას. შესაბამისად, კოდექსის150-ე, 150^1, 153^4, 159 და 159^1 მუხლების დელეგირების საფუძველი აღარ არსებობს, ვინაიდან იდენტური შინაარსის 150^2, 150^3, 153^9,158^3 და158^4 მუხლების დელეგირებას ითვალისწინებს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი **N80**-ში, ს/ს „სასტუმრო ვაკის“ შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვაკის ტურისტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის **2012** წლის **11** სექტემბრის **N2658** განკარგულებით კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (**12-03182073-03;** 12-03182115-03 (დაზუსტება))

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა რუსუდან მირზიკაშვილმა და ამავე სამსახურის წამომადგენელმა მარიამ თავაძემ.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N01.14.10.001.048, 01.14.10.001.047, 01.14.10.001.028, 01.14.10.001.078, 01.14.10.001.026, 01.14.10.001.025, 01.14.10.001.068, 01.14.10.001.049, 01.14.10.001.086, 01.14.10.001.084, 01.14.10.001.056, 01.14.10.001.035, 01.14.10.001.066, 01.14.10.001.083, 01.14.10.001.046, 01.14.10.001.033, 01.14.10.001.067, 01.14.10.001.085) ტერიტორია მთლიანად განაშენიანებულია სხვადასვა ინტენსიობის საცხოვრებელ უბნებად. უბნის განაშენიანება დაიწყო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საცხოვრებელი კომპლექსით, რომლის მშენებლობაც დასრულდა 2007 წელს და მისი პირობითი სახელია „პარკპლეის 1“, შემდეგ აშენდა ტერიტორიის დასავლეთით მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი „პარკგეითი“, მშენებლობა დასრულდა 2009 წელს. ამ პერიოდში პარალელურად მიმდინარეობდა ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე უბნის მშენებლობა, რომელიც შედგებოდა დაბალი ინტენსიობის კერძო 2 ვილისგან. 2011-13 წლებში განაშენიანდა ტერიტორიის შუა ნაწილი, პირობითი სახელით „პარკსტრიტი“, რომლიც შედგებოდა 2 ბლოკისგან და ბოლო ეტაპად განვითარდა საცხოვრებელი კომპლექსი „პარკვუდი“, რომლის მშენებლობაც დასრულდა 2017 წელს. საპროექტო ტერიტორიაზე 2006 წლის 22 თებერვალს ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ #20/121 ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2010 წლის 30 ივლისის N3449 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 11 სექტემბერს N2658 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. გრგ-ს მიხედვით, ტერიტორია დაყოფილია ოთხ A, B, C და D სექტორად. A სექტორი - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ქალაქმშენებლობით პარამეტრები კ-1=0,25; კ-2=1,7; კ-3=0,1 (ტერიტორია მთლიანად განვითრებულია გრგ-ს საფუძველზე და დასრულებულია მშენებლობა. B სექტორი - საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1) ქალაქმშენებლობით პარამეტრები კ-1=0,4; კ-2=0,6; კ3=0,2 გენ. გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლები საკუთარი მიწის ნაკვეთებით. სახლების უმეტესობა აშენებულია. C სექტორი - საცხოვრებელი ზონა 3(სზ-3) ქალაქმშენებლობით პარამეტრები კ-1=0,25; კ-2=1.7; კ-3=0,1 საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის მშენდებლობაც დასრულდა 2009 წელს შედგება 7 საცხოვრებელი ბლოკისგან. პროექტი და მშენებლობა განვითრებულია გრგ-ს მიხედვით მინიჭებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დაცვით. D სექტორი - საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4) ქალაქმშენებლობით პარამეტრები კ-1=0,46; კ-2=2,2; კ-3=0,1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლიც შეგდება A, B, C ბლოკისგან. დადგენილია, რომ ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ 2006 წლის 22 თებერვალს #20/121 ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, სადაც მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.14.10.001.046 გრგ-ს არეალში არ შედიოდა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2007 წლის 15 ივნისს დამტკიცდა ქალაქმშენებლობითი პირობები, სავაჭრო საოფისე შენობის მშენებლობაზე „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 დადგენილებით დამტკიცებული წესების თანახმად მიენიჭა პარამეტრები კ-1 =0,7; კ-2= 3,0, კ-3= 0,1. „ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 21.06.07 N6740 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2008 წლის 25 ნოემბრის N 1541 ბრძანებით ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 25 ნოემბრის N1541 ბრძანებით ცვლილება შევიდა დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კერძოდ, შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და ფართობები, რის საფუძველზეც, 2009 წლის 18 თებერვალს გაიცა მშენებლობის ნებართვა ნ/139-1. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, „ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი N80-ისა და ვაკის „ტურბაზის“ მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2010 წლის 30 ივლისის N3449 განკარგულებით დამტკიცდა ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების შეთანხმებისას მოხდა ტექნიკური ხასიათი შეცდომა და საპროექტო მიწის ნაკვეთი მოხვდა განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში. შესაბამისად, კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გავრცელდა საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრები. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია, დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა ზემო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით, კერძოდ, მიწის ნაკვეთის ს/კ N01.14.10.001.046 ამორიცხვა განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალიდან, ამასთან, აღნიშულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ით. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი შინაარსობრივად არ განსხვავდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2012 წლის 11 სექტემბრის N2658 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტისგან. ხდება მიწის ნაკვეთის ს/კ N01.14.10.001.046 ამორიცხვა განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალიდან. მიწის ნაკვეთების ფართობისა და

ნაკვეთებისათვის მიკუთვნებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად, რაც გამოიწვია დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში დაშვებულმა ტექნიკურმა ხარვეზმა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი **N80**-ში, ს/ს „სასტუმრო ვაკის“ შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ვაკის ტურისტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის **2012** წლის **11** სექტემბრის **N2658** განკარგულებით კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების საკითხი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე **www.urban.tbilisi.gov.ge** რეგისტრირებული **01181663162-67** განაცხადი) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად*

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე